

**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო

დამიანის უფლებების წაღვლასა და მონიტორინგის ცენტრი

**EMC**

Human Rights Education and Monitoring Center



**PHR**

პრობლემა  
პოლიტიკის  
პროცესი

# სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები

*11 მაისი, 2017*



**USAID**

ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

# გენდერული საკითხებისადმი სენსიტიურობა მოსამართლეებში



**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

# ძირითადი მიგნებები:

1. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას გენდერული თანასწორობის არსზე და ინტერდისციპლინურ განზომილებაზე;
2. ბევრი მათგანი არ ახდენს გენდერული სტერეოტიპების და დისკრიმინაციის სახელდებას, მაშინაც კი, როცა ნიშნები აშკარაა;
3. ხდება სტერეოტიპების კვლავწარმოება და თვითსტიგმატიზაცია;
4. დაწინაურებაზე უარის თქმის მიზეზად გენდერული როლებიდან გამომდინარე მოვალეობები სახელდება;
5. სასამართლო სისტემაში გენდერული ძალადობა არ ხდება ან შიშის გამო არ საუბრობენ მოსამართლეები.



**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

# გენდრული თანასწორობის მნიშვნელობის დაკნინება

- მოსამართლე უსქესოა.

*„ვფიქრობ, რომ მოსამართლეს, ასეთი ნათქვამია, სქესი არა აქვს... გენდერის პრობლემა სასამართლო სისტემაში არ დგას“. (მოსამართლე კაცი)*

*„ჩვენ სქესი არ გვაქვს, ჩვენ ყველანი ერთნაირად ვინაწილებთ საქმეს“ (მოსამართლე ქალი)*

- თანასწორობის მექანიკური გაგება - მოსამართლეთა 52% ქალია, ანუ გენდერული უთანასწორობა არ არსებობს.




**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

# ქალების გამოცდილებაზე საუბარი ქალების ნაცვლად

- მოსამართლე კაცები საუბრობენ ქალების განცდებზე და გენდერული თანასწორობის არ არსებობაზე.

*„სასამართლოში არავის აქვს იმის განცდა, რომ მე ქალი რომ ვარ, ამიტომ დავიჩაგრები, მეტ საქმეს დამაწერენ, ან უფრო რთულ საქმეს დამაწერენ და ა.შ.“ (მოსამართლე კაცი)*




**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

# ზრუნვის ვალდებულებები-ირიბი დისკრიმინაცია

- მენეჯერულ პოზიციებზე ქალების არყოფნა უკავშირდება მათ, გენდერულად დატვირთულ, როლებს (კარიერა, ოჯახი)

„სასამართლოების თავმჯდომარეობა მარტივი არ არის, თუნდაც საქმიდან და მოსამართლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. შეიძლება, ქალებსაც მაინცდამაინც არ ჰქონდეთ ამის სურვილი... ხშირად ქალბატონებს ოჯახები ჰყავთ და ცოტა **თავისუფალი დრო** თუ რჩებათ, ნაკლებად უნდათ რომ ეს დრო ზედმეტად სასამართლოს მოახმარონ“. (მოსამართლე ქალი)



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

# შუშის ჭერი

- ქალთა გენდერული როლის გათვალისწინებაზე ინიციატივები სიცილის დონეზე განიხილება.

*„რამდენჯერმე გვქონდა ინიციატივა, რომ დიდ სასამართლოებში...ყოფილიყო სპეციალური ბავშვთა ოთახები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მეძუძური დედების ბავშვები ყოფილიყვნენ. თანდაფინანსება უზრუნველგვეყო, მაგრამ სიცილის დონეზე დარჩა. გვიპასუხეს მეტი პრობლემა არ არის ახლათ?! (ყოფილი მოსამართლე ქალი)*



**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

# დეკრეტული შვებულება-უფლება თუ პრივილეგია

- თითქმის ყველა, დეკრეტულ შვებულებას მხოლოდ ქალთა უფლებად აღიქვამს;
- დეკრეტული შვებულება პრივილეგიაა- ქალები ისვენებენ.

*„6 თვე ხელოვას იღებს, კლუს 1 თვე ისედაც შეუძლია აიღოს, ანუ შვიდი თვე შეუძლია დაისვენოს და ბავშვს მიხედოს. მე თუ მკითხავ, ამხელა რუტინული შრომის მერე ეს დამატებითი სტიმულია“. (მოსამართლე კაცი)*



**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის



# გენდერული სტერეოტიპები

- მოსამართლე ქალების წამყვან პოზიციაზე არ დანიშვნის მიზეზებს შემდეგნაირად პასუხობს რესპონდენტი:  
*„კაცი ოჯახის თავიანთ და ქალი კისერიო, ხომ გესმით?“  
(მოსამართლე ქალი)*
- სხვა მონაწილეთა მოსაზრება:  
*„აღბათ მოსამართლე ქალის თავმჯდომარედ დანიშვნის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს სულისკვეთება ის არის, რომ ქალი ვერ გაართმევს თავს სასამართლოს თავმჯდომარეობას. გადაწყვეტილების მიმღები ადამიანებიც ამ სტერეოტიპების გავლენის ქვეშ არიან.“  
(მოსამართლე ქალი)*



**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

# გენდერული ძალადობა სისტემაში

- მოსამართლე ქალებს სტიგმის ან შიშის გამო უჭირთ სისტემის შიგნით გენდერულ ძალადობასა და შევიწროვებაზე საუბარი.

*„...პრობლემის გააღებრა დაკავშირებულია, გარკვეულწილად მისდამი [ქალი] ნეგატიური დამოკიდებულების წარმოშობასთან. სწორედ ამ სტიგმის გამო ისინი ხმამაღლა ლაპარაკისგან თავს იკავებენ. ზოგადად ქვეყანაში და, მათ შორის, არც სასამართლოში არ არსებობს საკმარისი შიდა გარემო და კულტურა იმისათვის, რომ ასეთი საკითხები მკაცრად კონტროლირებადი იყოს“. (მოსამართლე ქალი)*



**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

„ეს საქართველოა და როცა ხარ ქალი, არ აქვს მნიშვნელობა, მოსამართლე ხარ თუ არამოსამართლე, და თუ რაღაცით გამოირჩევი, მუდმივად ხდები ჭორების ობიექტი, მაგრამ უნდა ისწავლო ამის მართვა... ჩემ თავზეც ბევრჯერ მსმენია არასასიამოვნო ჭორები და ცოტა გული დამწყვეტია, ან ზოგჯერ შეიძლება შენი წარმატება რაღაც სხვას მიაწერონ, სხვა რაღაცეების დამსახურებად მონათლონ...კაცებზე ყოველთვის ნაკლებს ჭორაობენ“. (მოსამართლე ქალი)




**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის

# რეკომენდაცია

- ჩატარდეს გენდერული უთანასწორობის სიღრმისეული კვლევა სასამართლო სისტემაში, რომელიც გაითვალისწინებს ყველა შემაფერხებელი ფაქტორის არსებობას, რის გამოც მოსამართლე ქალებს უჭირთ საკითხებზე საუბარი, თავად სისტემას კი შესაძლებლობას მისცემს შეიმუშაოს ეფექტური მექანიზმი გენდერული ძალადობისა და დსკრიმინაციის წინააღმდეგ. აღნიშნული კი დადებით ეფექტს იქონიებს, როგორც თავად მოსამართლე ქალებზე, ასევე ზოგადად მართლმსაჯულების შედეგებზე.



**კოალიცია**

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის